მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2023 წლის 9 ივნისი

ქ. მარტვილი

„მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაცულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 მაისის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაცულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 მაისის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/05/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.109.016400) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) **დაგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2 მუხლის, 55^6 მუხლის, 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 82^5 მუხლის, 134^1 მუხლის, 135 მუხლის, 146^1 მუხლის, 150-ე მუხლის, 150^1 მუხლის, 151-ე მუხლის, 152-ე მუხლის, 152^5 –152^9 მუხლების, 153^3 მუხლის, 153^4 მუხლის, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 209^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 234^1 მუხლის, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე მუხლის, 242-ე მუხლის 3^1 ნაწილის, 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის, 268-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 273-ე მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12–მე-15 ნაწილების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს“;

ბ) **დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2 მუხლის, 55^6 მუხლის, 77^1 მუხლის, 77^2 მუხლის, 82^5 მუხლის, 134^1 მუხლის, 135 მუხლის, 146^1 მუხლის, 150-ე მუხლის, 150^1 მუხლის, 151-ე მუხლის, 152-ე მუხლის, 152^5–152^9 მუხლების, 153^3 მუხლის,153^4 მუხლის, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ სამართალდამრღვევის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მიწოდება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად უფლებამოსილმა პირმა, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ საჯარო მოხელე ავსებს საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა